

მშაპის

F

ფასი 6 მან.

33
1919/2

№ 3.


მათრასი

დამკვეთის 12

გ ვ ა რ დ ი ი ს

დ დ ე




1919 წ.



460


მ.წ. 26

ქუჩის პოლიცია
1919 წ. № 3



საქართველს ჰორიზონტზე მოიდრუბლა ოდეს სევა,
მსგავსად სხვათა მედმართა, გვარდიელად შეგვსდევ მევა.
საჭურველით აღვიჭურვებ, თავით ვითა ივენამდევა,
სიმშვიდით და სხვითა ფრქვევით გავაწილე ძაღლა მხევა.

რაზმი ჩემი, საეშმაკო, გეცხლში ნაწრთომ განამტკიცე
არასოდეს მიღალატებს რაკი ერთ გზის დასდღ ფიცი,
დედის წინ არ გამღსტევა, ვით ზღაბრული სამგლე კვიცი.
საიდუმლღ ბინაზე დგას, სად ბინადრობს არც მე ვიცი.




სახალხო გვარდიის პირველი მთავარი შტაბი.

ფოტ. სურ. ვ. გრინგეინისა.



ჯგუფის შუაგულში ზის ნლე ყორდანია. მისგან მარცხნივ სხედან: ალექსანდრე დგებუაძე, რუმენ აუშტრუვი, ილიკა ქარცივაძე და მიკი ვარდოიანი. მარჯვენა მხარეს სხედან: ვალიკა ჯუღელი, სანდრო მაისურაძე, კაკი წერეთელი, დავით საღირაშვილი. ფესზე სდგანან: ვილრი გინცაძე, გერასიმე მახარაძე, სარქის გლახოიანი, ნაბღღენ ვახიანი, თერფილე შენგელია, ვასილ გეგეშივილი და ვლადიმერ ვიტიტინსკი.

ფოტ. სურ. ვ. გრინგეინისა.



პირველი აქტიური გამოსვლა სახალხო გვარდიისა. თფილისის მდინავე მუშათა მცირე რაზმი, თავის ჩვეულებრივ ტანთ-საცმელში გამდგომილი ემსადება არსენალის ასადებათ გასვლას. მოხდა ეს 1917 წლის დეკემბრის 12, ღამით.

ნ. ურდანიას აზრი სახალხო გვარდიისა

არის ორი გზა, ჩვენი და რუსეთის: ორი პოლიტიკური და კულტურული გზა—ერთი გზა არის—გზა ანტიდემოკრატიული და მეორე გზა არის გზა დემოკრატიული.

ამით, რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ რუსეთის ხალხი მუდამ ჩარჩება ასეთ მდგომარეობაში.

წარსულში ბევრი ხალხი ყოფილა ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ის ამ განსაცდელიდან გამოსულა.

აი, როცა რუსეთის ხალხი ამ მდგომარეობიდან გამოვა და ისიც ისეთივე დემოკრატიული წყობილებით და სურვილით იქნება გამსჭვალული, როგორც ჩვენ, ცხადია, ჩვენს და მათ შორის გაიზიარება ახლო ძაფები და ჩვენ შორის არაფითარი რთული კითხვები აღარ იქნება და ხელი-ხელ ჩაკიდებული გავუდგები საერთო გზას.

როდის მოხდება ეს?—ამის თქმა ძნელია. და ვინაიდან იქ დემოკრატიული სული კვეთება და პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება არ მოხდება ახლო მომავალში,—ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენთვის დამოუკიდებლად.

აი, ამისთვის არის მოწოდებული სახალხო გვარდია, რომელიც ამ საქმეს უდგია გულგათ. აქედან თქვენ დაინახეთ, რომ აქტი 26 მაისისა,—ეს არის დიდი ისტორიული აქტი, აღმოცენებული არა შემთხვევით, არამედ—დიდ ისტორიულ აუცილებლობაზე და ფაქტზე.

თუ გვინდა, რომ ჩვენში იყოს დემოკრატიის ბატონობა—დემოკრატიზმი და არა დიქტატურა, მაშინ ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი საკუთარი საშვალეებით შევიქმნათ და ვაშენოთ დემოკრატიის ბატონობა.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ გვარდიის მოწოდება, მისი საბუთები—იდუური და პოლიტიკური, საბუთები თავის მოქმედების გასამართლებლად მეტად დიდი და მძლავრია.

უნდა იყოს გვარდია დარწმუნებული, რომ თუ იგი იცავს საქართველოს, იგი იცავს ამავე დროს თავის თავს, საქართველოს მუშების და გლეხების ბატონობას.

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: ღირს განა ამდენი დავიდარაბა ამისთვის; რა გააკეთეთ, თქვენი საქმეები რა საქმეებია?.. რა გავაკეთეთ?—ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების არის აქ—ჩვენში.

მაგრამ ეს დიქტატურა არის მოპოვებული არა დიქტატორული გზით, არამედ გზით დემოკრატიულით.

არავინ არ იფიქროს, რომ რუსეთში იყოს ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების. რომ ეს ასე იყოს, მაშინ უმრავლესობა მუშების და გლეხების მიემხრობოდა ბალშევიკების წყობილებას.

*) ამოღებულია ავტორის წება დაურთველად მისი მოსახერხებელი გვარდიის პირველ ყრილობაზე.

ბ-ნი ეზმაკის ამრი სახალხო გვარდიის შესახებ*).



სახალხო გვარდიის მთავარი ხელმძღვანელი ვალიკო ჯუღელი.



სახალხო გვარდიის პირველი შტაბის ბრუნ-დიუმის წევრნი: ხანდრა მაისურაძე, ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგვიუაძე.

ვიწყებ და გული მიკრთების ამა ამბისა წერასა...
მჯობს მისსა საამბობელად, ვეჭვ, გამცნევ სხვასა ვერასა,
ვამზავსო მისი სიამე ჩანგ-ზარბითისა უღერასა,
მზესა მწადს ხობტა შევასხა, სხივთა დაგვაფრქვეს მზე რასა.

მათ ჟამთა სიდიადენი ვითა ესთქვა ეზმაკეულმან?
გული წამილის სამშობლოს იშმან და ცრემლმან ფრქვეულმან,
ვინმცა აღილოს მ-ხვილი, ვითა რა ხელმან გრძნეულმან,
ფრთა ჰკვეცოს ანარქიასა, ვერც იბარპაშოს წყეულმან.

„ღამეს დღე მოსდევს“, ვითა შენ არ ერთგზის გაგამიხელია,
აგრემცა მზესა ნათელი ჩვენ წილ ვით გამოელია?
სამშობლოს გმირი დასჭირდის, თურ გმირთა დასი მთელია,
ვინძი გაჩნდების, არ ჩენა ამად არ საფიქრელია.

ვითა რად შემეფერების, ვარ მთქმელი საბრძნის ამისა:
იციან, არ დაიკარგების, არცა თუ წვეთი ნამისა,
დღეთ ბ-ნდი შესცვლის, ეგების კვალად თენება ღამისა,
ზოგთა უხდების სწებათა, ზომად მიღება შხამისა.

შხამი ჰკლავს, შხამი აცოცხლებს, ვის რაზომ მოეხმარების,
შემოკრბის რაზმი მუშათა, ანარქიზმს კვეთად მხარების,
ხელთა აღიღის მახვილი, ბრძოლად ვინ დაეზარების,
ზარი და ზათქი გაისმა, გლახ გული გაგვეზარების.

თფილისმან შეილნი ერთგულნი აწ რამცა ვამხედაროს,
რაზმი შემოკრბეს მუშათა, მათ რაზმთა ვინმცა ედაროს,
მოდიან ამოდ წყობილნი, ამა თუ იმა კედაროს,
მზე გაეგარა ღრუბელთა, სცან ვითა ჩვენთვის ედაროს.

უბან და უბან ეგების იმათი მწყობრი გუნდები,
ვკვრეტ მათთა სიჩაუქეთა და კვალად ჰკვრეტას ვუნდები,
ყოველნი ტურფად კაზმულნი, ბროლნი, თუ იაგუნდები,
ვაჟკაცთა უდგის მხარ და მხარ სათონებისა მუნ დგები.

სახალხო ერქმის გვარდია მუშათა ამა კრებულსა,
სამშობლოს მცველად მოვლენილს, მისსა ხსნად შემოსწრებულსა,
სადა საფრთხე ჩნდის მუნ იყვის, ვის ნახავ წინასწრებულსა?
ვეფხსა ჰგავ ბრძოლად შესული და ლომსა გააფთრებულსა.

ძალ-სუსტობს წვერი კალმისი მათ ხობტად მონამახავი,
სრულად დაბნდების კვრეტითა, რაზმთა მათ მწყობრთა მნახავი,
მტერს ეკვეთების მომხდურსა, ხაფითა ამოდ მხაფავი,
მან უკუტყვევა არ იცის, მარად ა წინამსწრაფავი.


მტერსა ოდეს დაეკვეთოს, მცირე იყოს რაზომ რიცხვად,
ჰქმნას საქმნელი გმირთა დარი, მოველინოს ღვთისა რისხვად,
სწნდეს სიშმაგე სააპყოდ, ართუ მქმნელთა გასაკიცხვად,
მტერი ღეშთა დაამსგავსის, არმცა იყოს სახმარი სხვად.

მცირე იყო წინახანად რაზმი ამა რჩეულ პირთა,
გულსა შიგან განვიფლებდი: — „ვითარ სძლიონ ესდენ პირთა?“,
„ასი ერთსა შეგემთხვევის“ რაგინდ იყოს, გაგტეხს გმირთა,
სასწაულთა მოველოდი და საქმეთა გასაკვირთა.

იარაღით იცავს მამულს და უფლებას მონაპოვარს,
ამად ვეტრფი მხიარული რაზმსა მე მას შეუპოვარს,
დღეს თოფქვეშ სდგის ბრძოლისპირად, არ უდრკების ტყვიას მთოვარს,
ხვალ სადურგლოს დაუბრუნდის და საქმედლოს მინატოვარს.

საქართველოს ბედი თუ ჰლიმს, თუ სამშობლო ცრემლს არ ჰმოდის,
მუნ ვაჭარი რა შვაშია პირველის, ან სხვათა ჰილდის?
მათი ქცევა, საარაკო, დაიდრახის, გაცასწილდის,
ის არ მამულს ესე ვითარ, ვით თვის ჯიბეს გაუფთხილდის.

*) ამოღებულია ავტორის ნებართვით მისი წიგნიდან: „პირველი წერილი სოლომონ ზურგიელიძეს“.



მამულს მხოლოდ მუშა მკერდი აფთარა წინ საფარად,
 ნაწყობი და დანარაზში სასახელო იმა ჯარად,
 ამოდ იბრძვის ყოველ მხარეს, გმირთა დიდთა დასადარად,
 სისხლი არმცა დაეზოგვის მამულის წილ დასადვარად.


თუ ვით სიტყვა გაგამრუდო, ბილწიმც ვიყო და წყეული,
 ამად ვითბრობ: რაზმი იგი არმც ნახულა დაძლეული,
 ვინც შეგების, ყოველი იქმნის შენამუსრი და ძლეული,
 ომი მრავლად განიცადა წელი გაჰხდა რა წლეული.

კვლად გიტყვი: იმა რაზმის არა შემწევს ხოტბად ძალი,
 მტრისა ბრძოლად მიქცეული მრისხანეა, ვით გრიგალი,
 მოსრვის რაცა შეგებების, კლდეცა დახედის თუნდ პირს სალი
 თვალთა გლვა გამოჰკრთების, გულსა მები და პირს ალი.

ნებეგრობა ბედმან არ სცა, მოციკილოს ვითა ობი?
 ბრძოლით ბრძოლად გარდანავალს, გული უვის განაწრთობი
 გუშინ ქებად სასახელო, დღეს შეიქმნის იმად მჯობი,
 კვლავ მზეობს და პირმცინარობს, სხივი არ უჩნს განაკრთობი

წელიწადი არცა მკმარის მე თუ შათი ხოტბა ვსწერო,
 ვიცი სმენად არ მომიწყენ... არ მისმენ ვით დავიჯერო,
 წელიც დავყო ამა საქმედ არ მწანს თავი შევიჯერო,
 გული ამად მეუბნების: „დაიურვე ზრახვა ჯერო“.

დაფუჯერებ გულის თქმბათა, ამად არვინ დამემდუროს,
 ვინ იენების ესდენ ზღევი, დაცამკერიდეს თავში უროს,
 უამი მოსდგა გრძნობათ დენას აწმცა კარი მოეხუროს
 კმარის იგი სიხარული, ცრემლიც, რაცა მოგვეწუროს.



ვალდია ვოკვაძე და მისი სამი ძმა.

ფოტოსურ. ვ. გლინევიჩისა




სახალხო გვარდიელნი სოხის მახლობლათ მაგესტას აბანოებთან.

* * *

როცა წავიდა თან წაიღო თეთრი ნარგიზი,
 მკერდს მიბნეული მტირალ ქალის მთრთოლავ თითები
 თეთრი ყვავილი ციმციმებდა ფოთოლ-ფაქიზი
 ქალის თვალთაგან მოწყვეტილი მარგალიტებით...

ქალი თვის რაინდს დაბრუნებულს ნარგიზით ელის...
 მაგრამ მოსტყუვდა თვალ-ანკარა თეთრი ასული...
 გმირი დაბრუნდა... მოიტანა ვარდი წითელი
 საყვარელ მკერდზე ცხელი ტყვიით ამოხაზული...

ს. აბაშელი



დიდება.


დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას,
 ერის ბურჯს, ერის სიმტკიცეს და მის ვარდიას,
 დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას!

დიდება შრომის სამეფოს—ამ ერის კერას,
 სადაც ისმენდა გმირთა-გმირი ბრძოლის სიმღერას,
 დიდება შრომის სამეფოს—ამ ერის კერას!


დიდება, ვინაც უმღერა ნანა მზიური,
 შთაბერა ძალა უკვდავი, ცეცხლი ციური,
 დიდება, ვინაც უმღერა ნანა მზიური!

დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას,
 ერის ბურჯს, ერის სიმტკიცეს და მის ვარდიას,
 დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას!

გ. რუხაძე.



ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა



შავი ზღვის პირის ფრანტზე გასაგზავნად გამზადებული ტაში მტლ-ციკლეტ-ტყვიის მფრქვეველებსა.

Handwritten notes in the left margin: '496' and '15561'.

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა



გღრის ტაში სახალხლ გვარდიისა გემზე დამსხდარი ქ. ფლთში, ხაჩის ფრანტზე გასაგზავნათ.

იქ არის დიქტატურა ჯგუფისა, შეიარაღებული ჯგუფისა, ის მოვლინებულია შეიარაღებული ძალით მაღლიდან და ისინი ბატონობენ როგორც მუშებზე, ისე გლეხებზე და არ ანებებენ გამოსტყვევან თავისი აზრი, ვინაიდან იციან, რომ ეს აზრი არ იქნება მათი სასარგებლო. აქ, ჩვენში, სრულიად თავისუფალი—დემოკრატიული გზით მუშებმა და გლეხებმა შეადგინეს თავისი მთავრობა.

ასეთი მთავრობა ჩვენ რომ არ შეგვედგინა და მოვქცეულიყავით ისე, როგორც რუსეთში, ე. ი. დავყრდნობოდით შეიარაღებულ ძალას, მაშინ აქაც გაღვივდებოდა სამოქალაქო ომი.

აი, ახლა, როცა აქ შესდგა ნამდვილი მართველობა და მთავრობა ამ მუშებისა და გლეხებისა დემოკრატიული გზით და სრულიად ერთსულოვნად, მის წინაშე შავი რეაქცია იძულებულია ქედი მოიხაროს და დემორჩილოს მას. აქ არ არის სამოქალაქო ომი. და არც შეიძლება იყვეს იქ, სადაც არის დემოკრატია. სამოქალაქო ომი არის იქ, სადაც ბატონობს დიქტატურა და დესპოტია.

უნდა ვსთქვათ, რომ რასაც საქართველოში დღეს ვაკეთებთ, ამის მსგავსს ვერ ვხედავთ სხვაგან, რომ იქიდან გადმოვიდოთ მაგალითი, ან იმათ წავბადოთ. ეს იმიტომ, რომ არც ერთს უცხო სახელმწიფოში არ არის დღეს მუშათა პარტიის ბატონობა. თვით გერმანიის მუშათა პარტიას არა ყავს დღეს უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში და ის იძულებულია შევიდეს ბლოკში სხვა პარტიებთან და ამნაირად კომპრომისული პოლიტიკა აწარმოვოს.

ამიტომ ჩვენ ვართ იძულებული საკუთარი გზით ვიაროთ და ვაშენოთ სახელმწიფო, სადაც სოციალური რეფორმები უნდა იყოს მართლადი საწარმოვო ძალთა განვითარებისაკენ.

ჩვენ შეგვიძლია დღეს შევიდეთ დამფუძნებელ კრებაში და გამოვაცხადოთ აქ სოციალიზმი. ეს ჩვენ პოლიტიკურად ყოველთვის შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს ეკონომიურად და ვინაიდან ეკონომია არის საფუძველი დანარჩენი მხარეებისა, ამიტომ ჩვენ ვდგევართ ეკონომიური რეფორმების გზაზე.

მაგრამ არ შეგვიძლია იმიტომ, რომ, როცა ირგვლივ და მთელს ევროპაში ბატონობს კაპიტალისტური წყობილება, როცა იქ ბაზარი კაპიტალისტების ხელშია, როცა იქ მეფობს საერთო კონკურენცია, არც ერთ ხალხს არ შეუძლია ამ კონკურენციას თავი დააღწიოს და შიგნით სოციალური წყობილება დაამყაროს. რუსეთში არ არის სოციალიზმი, ეს თავის მოტყუებაა. არავის სოციალური წყობილების დამყარება არ შეუძლია, თუ იგი არ არის ევროპაში. როცა რევოლუციური იფეთქებს მთელს ევროპაში და ბაზარი იქნება

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა.



სახალხო გვარდიის მისვლა ქ. სტაში.

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა.



სახალხო გვარდიის მდინავე რაზმი ქ. სტაში. სურათის წინა მხარეს სდგანან: მგბანი მგვებკარი, ვალიგა ჯუღელი, სანდრე მაისურაძე, გენ. კონიაშვილი და სხ.

მათ ხელში, მაშინ შეიძლება ხალხების აყვავება. ამიტომ მარქსი, ენგელსი ამბობდნენ, რომ სოციალური რევოლუცია არის სავრთაშორისო, ის არ შეიძლება იყოს ნაციონალური, ის უნდა მოხდეს მოწინავე ქვეყნებში, რომ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ამით ისარგებლონ.

თუ ჩვენ წავგვრთმევთ თავისუფლებას, თუ აქ შემოიჭრება დესპოტი და დიქტატორი, თუ ჩვენ მოგვესპო თვით-მოქმედების საშუალება, ცხადია, რომ სოციალური რევოლუცია, სოციალური მიზანი იქნება დიდხანს დამარხული. ჩვენ ვიქნებით გამოთაშუელი იმ მსოფლიო რევოლუციიდან, რომელიც უნდა მოხდეს ევროპაში.

ამიტომ თვითეული გვარდიელი, მათი მთავარი შტაბი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის აკეთებს საერთო საქმეს და ამაში მას ექვი არ უნდა ჰქონდეს.

ის როცა სისხლს ღვრის აქა-იქ ფრონტებზე, უნდა იცოდეს, რომ ეს სისხლი წმინდა სისხლია. საჭიროა სისხლის დაღვრა არა მარტო იქ, არამედ აქ შიგნითაც.

ვინც მოინდომებს ამ ჩვენი ისტორიული გზის, ამ დემოკრატიის მიერ შექმნილ წყობილების დამხობას, მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული გვარდიის ხმალი. ვინ მოინდომებს ამას?.. ამას მოინდომებენ რეაქციონერები მარჯვნივ, ანარქისტები მარცხნივ.

ეს იქნება ჯგუფი, ეს იქნება უმცირესობა და ვინც უმრავლესობის წინააღმდეგ ამოიღებს ხმალს, იმას ხმალს უკანვე ჩავაგებივით.

არაა ადვილი დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება, პოლიტიკური დემოკრატიის შექმნა. არ ყოფილა ჯერ მაგალითი ისტორიაში, რომ რევოლუციის პირიდან გამოსულიყოს დემოკრატია:

საფრანგეთში იყო რევოლუცია—ბატონობა იაკობინელთა, ეს ბატონობა იყო ისეთი, როგორცაა ბალშევიკების ბატონობა; ეს იყო მათი დიქტატურა და ჩვენ ვამბობთ, რომ ამ რევოლუციის შემდეგ ჩვენ მივიღეთ რეაქცია—იმპერატორი ნაპლეონი, შემდეგ მეფე ლუდვიგი, მერე კარლოსი, მერე რევოლუცია, მერე მეფე ლუი ფილიპე, რევოლუცია, რესპუბლიკა იმპერიით, კიდევ რევოლუცია და მხოლოდ 1873 წლიდან გამტკიცდა დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამიტომ ჩვენ ვახდენთ ერთგვარ ექსპერიმენტებს, რომ რევოლუციის შემდეგ შეიქნეს მუდმივი, მკვიდრი დემოკრატიული წყობილება და ამ წყობილებაში—დემოკრატიის ბატონობა.

ასეთი ისტორიული ამბის მოწმენი ვართ, ამის მომქმედნი ვართ, ამას ვქნით და ექვი არ უნდა ჰქონდეს არც ერთ გვარდიელს, რომ ის ქმნის დიდს ისტორიულს საქმეს.

ამ სწორი ხაზის დასაცავათ მოგიწოდებთ თქვენ აქ და თქვენთან ერთად მთელს გვარდიას.

გვარდია!

ფოტ. სურ. ვ. გრინვეიჩის

ფოტ. სურ. ვ. გრინვეიჩის




ფოტ. სურ. ვ. გრინვეიჩის

არტილერია და სავლე შტაბი სახალხდ გვარდიისა ქ. ხაჩნაში.

ფოტ. სურ. ვ. გრინვეიჩის

ფოტ. სურ. ვ. გრინვეიჩის



ფოტ. სურ. ვ. გრინვეიჩის

სახალხდ გვარდიის რაზმი მღწინავე პლანიფიასე. შავი ზღვის პირის ფრონტი.

ჩვენი გვარდია—ეს სამაყო ქართველოს დემოკრატიის. იგი იყო იყო სახალხო, იგი იყო საყვარელი ბოლოს გახდა „ჩვენი“.

იგი ჩვენი იმით, რომ ჩვენი დიდძალი შვილია, მისი მთავარი ძარ შათა კლასის წარმომადგენელია.

იგი ჩვენი იმიტომ, რომ ჩვენი მშვენიერებაა.

თქვენ გინახავთ დემოკრატიის ბ. განსაცდელის დღეებში? მაშ გვც რომ გვარდია მალამოთ ედებოდა, ევლინებოდა მას. თავის სისხლით, შეუპოვრობით გამოჰყავდა იგი ზედაპირზე.

თქვენ გინახავთ, როგორ უს ჩვენს ქვეყანას მტერნი და ორგულ გავეგონებათ, რომ მათი პირველი დიის მოსაწამლავათ იყო მომარცხება გასკრა ამ შხამმა? სრულიადაც იმიტომ რომ მთელი სისხლე ჩვენსა ამ გვარდიის წიაღში არის და რაც ქონდა საუკეთესო, სახელოვან ჩვენს დემოკრატიას, მან იგი დაუძღვნა.

რაც ქონდა ენერგია, შეძლებული უნარი თავდაცვისა, ცოდნა თავისი და დემოკრატიული მიზნების და უოველივე ამის გვარდიაში მოუყვანილია გვარდია ჩვენი იმით, რომ სი თავანი და ხორცი ხორცთაგანია თა კლასის და შეგნებული სოციალური დემოკრატიის.

ორი წლის წინეთ წარმოშვა გომის დღეებში საქართველოს დემოკრატიამ; სწორეთ ამ დღეებში ჩვენმა სოველებმა რუსეთში. ჩვენმა აქაც. ერთია სახელი, მაგრამ რას სხვაგვება ერთია ხანა წარმოშობის გარდაუვალ სივრცით არის ერთი შორებული.

სოველების გვარდია—ანარქის შეიქმნა და ბოლოს „წითელ არტილერია“.

ჩვენი გვარდია ანარქიის ჩამქვამი გამოვიდა და რევოლიუციის მასა სახურება.

ეს ორი ძალა, შემოდგომის ში წარმოშობილი, ერთმანეთს ეხებოდა.

პირველი ანარქიულ ბაქშევით მეორე ორგანიზაციულათ შექაველი სისტულ დემოკრატიის ნაღვლია.

პირველი სამოქალაქო ომის დროს; მეორე—სამოქალაქო ომის პირველს ეწერა რუსეთის დანგრეული (დისსრული შეთე გვერდზე)



სასაღმარეო გვარდიის წარმომადგენელთა პირველი პერიოდი.

შუაზე ზის მთავრების თავმჯდომარე ნიკ ქვრიფიანი.

უკვდავები

სახლბო გვარდიას.

მარადისობის უკანა ვევილებს
მოცულობის ალტერნატივებს, კება!
მას ვერ ჩააქრობს დროთა ტრიპლი,
მას სიფლავით სუნთქვა ვერ შეეხება!

მარადისობის უკანა ვევილებს
მოცულობის ალტერნატივებს, კება!
მას ვერ ჩააქრობს დროთა ტრიპლი,
მას სიფლავით სუნთქვა ვერ შეეხება!

უმაჯო მსხვერპლთა წითელის სისხლით
მოგჭარბავ დროშას გამარჯვებისას,
და ზედ აფსახავ ნათელ სახელებს
მტერთგან განწირულ უკვდავ ძმებს!


და იამაყებს დედა-სამშობლო,
მტერთა მძლეველი მარად და მარად,
რომ მის გულ-მკერდზე გამოიზარდა
მებრძოლი კრებული ფოთლის ფარად!

ცეცხლის სიტყვებით აღიბეჭდება
ყოფნის რეგულში დიდება, კება!
მას ვერ ჩააქრობს დროთა ტრიპლი,
მას სიფლავით სუნთქვა ვერ შეეხება!

მარადისობის უკანა ვევილებს
მოცულობის ალტერნატივებს, კება!
მას ვერ ჩააქრობს დროთა ტრიპლი,
მას სიფლავით სუნთქვა ვერ შეეხება!

ობოლი მუშა.

ფოტო სურ. ვ. ბრანდერისა



თარაიასის უკმულში მამბუკუ გვარდო, ღთა ხუცოვრენკლი კარგეპი და ცხენებისათვის ახლად აკმულდ იწხაჯიხიბიდეი.



ვაშა გვარდიას!

ვაშა, ვაშა, სახლოვან
მამაც გვარდიელებს!
თავისუფალ საქართველოს
რესპუბლიკის მცველებს!

—
ვაშა, ვაშა, მათს გმობას!
ვაშა, ქვეყნის მსხველქმებს,
ჩვენს იმედს და სასოებას,
მტერთა უიშის მგვრელებს!

—
გულმარჯოს ჩვენს გვარდიას! —
ვაშა, ქვეყნის მსხველქმებს,
ჩვენს იმედს და სასოებას!
მტერთა უიშის მგვრელებს!

გ. ქუჩიშვილი.





ჯავშნიანი მატარებელი ვ. გვგავაძის მეთაურობით ქ. ქუთაისში.



ლხი გვარდიის მცირე რაზმი წინა პლანდიაზე სიხის ოლქში.

მაცება, მეორე შეიქნა ბურჯი ქვეყნის ხსნისა და დემოკრატიის თავისუფლებისა. ორი ისტორიული გზა რევოლიუციურ რუსეთისა და რევოლიუციურ საქართველოსი ყველაზე მეტათ ამ გვარდილებზე აღიბეჭდა. რუსეთის გვარდია იმ ქაოსის სულის ჩამდგმელია, რომელიც იქ მეფობს. ჩვენი გვარდია იმ დემოკრატიული წესიერების ბურჯია, რომელსაც იგი ჩვენში ამყარებს. და როგორც დაშორდა ერთმანეთს ბედი ორი დემოკრატიის—ისე დაშორდა ბუნება და თვისება ორი გვარდიის.

პირველი რუსეთის საკუთრებაა, მეორე ჩვენი.

ღიახ, სახალხო გვარდია, ჩვენი გვარდიაა, ჩვენი გულის საუკეთესო ძალების ამონაწურია.

ამ ორი წლის განმავლობაში ის მოწინავე იყო, როგორც მოწინავე იყო მუშათა დემოკრატია. ბრძოლაში ის წინ მიდიოდა. მტერს ის პირველი უხვდებოდა, შინ არეულობის მოციქულთ ის პირველი უხვდებოდა. რამდენი ჩამოგითვალთ. საქართველომ თავის დამოუკიდებლობის პირველ დღეებშივე მას საზეიმო ნობათი მიართვა. დააკანონა, შეიტვისა, შეისისხლხორცა. და ამ წუთიდან ჩვენ დემოკრატიასთან ერთად გახდა იგი სულის ჩამდგმელი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა, დარაჯი მისი დამოუკიდებლობის, დამცველი მისი სოციალ-პოლიტიკურ განვითარების.

ეს გვარდია ჩვენია და ამით ჩვენ ვამაყობთ; იგი მწვერვალია ჩვენი ხალხის, დემოკრატიის შესაძლებლობის, იგი რეალიზაციაა ჩვენი საუკეთესო მისწრაფების.

თქვენ იცით, რამდენი მტერი წიხვია ამ გვარდიას. მას იწუნებდნენ, მას გამოზდნენ, მისგან დიდ საფრთხეს მოელოდნენ სარგებლობის ნაცვლათ.

ორი წლის მოღვაწეობით გვარდიამ ყველა თავის მოძულეთ ენა მუცელში ჩაუგდო, ყველა მოწინააღმდეგეს ქედი მოახრევენა. ეს ნიშნავს გვარდიის გამარჯვებასთან ერთად მუშათა დემოკრატიის გამარჯვებას. ამიტომ ჩვენი ეს გვარდია, მისი სახელოვანი მოღვაწეობა ჩვენი ისტორიის ღლამაზი ფურცელია.

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას.

გაუმარჯოს ჩვენს მუშათა დემოკრატიას!

მ. არსენიძე

ჩვენი გვარდია

ჩვენი დრო სასწაულის დროა. დღეს უკვე სინამდვილეა ის, რაზედაც ჯერ კიდევ გუშინ ოცნებას შეუძლებლად მიგვაჩნდა.

უდიდესმა რევოლიუციამ მოგვცა თავისუფლება, მოგვცა დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა.

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა.



სახალხე გვარდიელები ქ. ხოჩის მასღობლად.



სახალხე გვარდიის არტილერია წინა პლზიფიაზე.

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა.

დაცვა მიენდო თვით ამავე ხალხს შეიარაღებულ საუკეთესო შეილებსათვის და დღემდის ეს იყო ნამდვილი გარანტია ჩვენი თავისუფლებისა და მომავალშიც ეს იქნება თავდები ჩვენი სრული გამარჯვებისა.

მეგზენი გეგმაკარი.

ჩ ა შ ი ტ ყ ვ ე ლ ზ ა

ეს იყო მეტად სასაცილო და თანაც სამწუხარო ამბავი. ახლა მე გულით მეცინება, მაგრამ მაშინ სიბრაზისა და მწუხარებისაგან ცრემლები მერეოდა.

ეს ამბავი მოხდა ერთი წლის წინეთ.

სოჩის ნავთსადგურში შემოვიდა მოხალისეთა გემი „ტიტანია.“ მიუხედავად დიდი სახელისა, გემი პატარა და ყოვლად უვარგისი იყო. ზღვა ძალზე დელავდა და გემს ნაფოტივით აქანავებდა. მე ძლიერ მიმეჩქარებოდა თბილისში და ზღვის დაწყნარებას არ მოუცადე. *)

უკვე ღამდებოდა, როდესაც გემზე ავედით, იქ დამხვდა ხუთი გვარდიელი, რომლებიც სახლში მიემგზავრებოდნენ, მათ რიცხვში იყო სიმონა ბუკია. ყველა მგზავრები დღეღვისაგან მეტათ შეწუხებული იყვნენ და ხუმარა სიმონა მათ გაჭირვებას დასცინოდა.

მაღე ჩვენც გვაწყინა ზღვამ და ამიტომ გამოვეხვეით მაზარებში, დავიდეთ თავ ქვეშ ტომრები და გავვორდით პალუბაზე.

„ტიტანიამ“ უკანასკნელათ იბღავლა და ადგილიდან მოიხსნა. ტალღები საშინლად სცემდნენ გემს და აკვნესებდა...

მე მაღე ჩამეძინა.

უეცრივ ძლიერმა ტალღამ, შემზარავმა კივილია გამომაღვიძა, თავი წამოვწიე და ირგვლივ მიმოვიხედე.

პატარა „ტიტანია“ ძლივსდა ებრძოდა შავ ზვირთებს და თითქმის წვებოდა გვერდზე. შორს ჩრდილოეთით მოსჩანდა ელექტრონის სინათლე და ცის ბნელ სივრცეში ციმციმებდნენ და ცელქობდნენ მრავალი ვარსკვლავები. უძლური გემი კი მძიმეთ კვნესოდა...

უეცრივ დიდი ტალღა საშინელი ძლიერებით მოხვდა „ტიტანიას“, გემი მთლათ დაწვა, ქალებმა ცივი ხმით კივილი შექმნეს, და ატირდნენ ბავშვები...

„ტიტანია“ შეკრთა, თითქო შეფიქრდა... მერმე ნელა ისევ გასწორდა და ხელ ახლა შეებრძოლა ზვირთებს... ელექტრონის სინათლე გემს უკვე მეორე გვერდით მოექცა, მე მივხვდი, რომ გემი უკან მიიბრუნეს.

უკან კი მტერი იყო. ეს ძლიერ მაფიქრებდა, მაგრამ გათენებამდის შორს იყო და ამინდის გამოკეთების იმედი მქონდა... ამიტომ მე ისევ ძილს მივუბრუნდი.

ყოველთვის და ყოველგან, როდესაც დროს მოკვლა გასურო, როდესაც გინდათ დროს მა-

*) აჩქარებითა სოფელი არივის მოუქმითა. ეშმაკი.

ფოტ. სურ. ვ. გრინვიჩისა



გვარდიელები გუთანზე. სურა აზი მდხანს მთელი რიგი გუთნებისა, რამელშიაგ შებმულია ცხენები და ჯიშები. ეუბანა სწამდავს ყარაიანის სხეელმწიფდ მამულში.

ფოტ. სურ. ვ. გრინვიჩისა.



ყარაიანის სახელმწიფდ მამულში. გვარდიელები გუთანზე. მდხანს გუთნების რიგი, რამელშიაგ შებმულია ჯიშები. უკანა გუთანი სამ სახნისიანია.

ლე განვლოს, ძილს მიმართეთ! და ბედნიერია ის კაცი, რომელსაც გაქირვებაში მაგარი და მშვიდი ძილი აქვს.

ამ მხრივ მე ბედნიერი ვარ!..

ხმაურობამ მე ისევ გამომალღვიძა.

— „ვიღუპებით ბიჭებო,“ — ამბობდა ერთი გვარდიელი.

— „ნამდვილათ ვიღუპებით“ — უბასუხა მეორემ.

— „მოდით ავხსნათ ნავი და წყალში ჩაუშვათ“

ურჩია სიმონამ.

— „ავხსნათ!-“ დამოწმა ყველა. წამოცვიდნენ და მივარდნენ ნავს.

თუმცა სასაცილო არაფერი იყო, მაგრამ მე მაინც გულში გამეცინა და ვუთხარი ამხანაგებს:

— „დაწვეთ ნუ გეშინიათ. გემი არ დაიღუპება. და თუ კიდევაც დაიღუპა — ნავი ვერას გიშველის“

ამხანაგები დამშვიდნენ და დაწვეს ჩემ გვერდით. მაგრამ თვითონ მე დამშვიდებული არ ვიყავი. მე ვგრძნობდი გემის საშინელ მდგომარეობას და ვხედავდი რომ ტალღა თანდათან მატულობდა...

და ყოველ დიდ ტალღის ცემაზე გვარდიელები გაიძახოდნენ „ვიღუპებით“ და ნავის ახსნას ცდილობდნენ...

ამან მე ცოტათი გაშართო და გუნება გამომიბრუნა. მე სავსებით შეფურცდი მდგომარეობას. ვგრძნობდი სრულ ჩემს უძლიერებას და თავს ახალი ჯავრით აღარ ვიწუხებდი.

იმ წუთში მე ფატალისტი ვიყავი და სრულ ბედნიერებას მარტო ძილში ვპოულობდი... მივჩერებოდი მოკაშკაშებულ ცას და შევენატროდი ვარსკვლავებს!

ოჰ! როგორ შევენატროდი იმ ვარსკვლავებს!...

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ძლივს, თითქმის ფორთხვით მივედი გემის უფროსამდებლვაც ცოტა დამშვიდდა.

— „საით მივდივართ“, — ვკითხე მას

— „ტუაფსეში“. მიპასუხა მოკლეთ.

მე შევკრთი. ტუაფსეში ჩვენი მტრები, დენიკინელები იყვენ.

— „გთხოვთ სოჩაში გაიაროთ“. — ვუთხარი მე მას.

გემის უფროსმა გაკვირვებით ამხედ-დამხედა. მე ძველი „პლაში“ მეცვა და სალდათს ვგავდი.

— „თუ ჩვენ ყველას სურვილი შევასრულეთ, მაშინ ჩვენ კარგი მეზღვაურები ვიქნებით!“ — დაცინვით მითხრა მან.

მე მაშინვე გაგებრუნდი და ფეხზე დაკაყენე გვარდიელები. ერთი მე გავიყოლე, სხვები კი გემზე დავაყენე. მე ისევ გემის უფროსთან მივედი.

— „გთხოვთ სოჩაში გაიაროთ“ — გაუუმეორე მე.

ბრუნე...


ბრუნე...

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა



გორის სახალხლ გვარდიის რაზმი გზაში, ქ. სტრის მახლობლათ.

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა



ლაზარეთი დაჭრილ და აგადმყოფ სახალხლ გვარდიელთათვის ქ. სტრამი.

თუ კი ვისმეს ხვედრათ რგებია უდიდესი განცდანი და უაღრესი ნეტარება, ისტორიის ჩარხის ტრიალმა ჩვენ მოგვცა ერთიცა და მეორეც.

ჩვენ განვიცადეთ ბედნიერება, რომლის მზგავსს ერი იშვიათად განიცდის, მაგრამ ჩვენ განვიცადეთ უდიდესი ტანჯვაც: ჩვენზე ძლიერი მტერი კარზე გვყავდა მომდგარი და ჰლამობდა ხელიდან გამოვეღლიჯა ჩვენთვის ყოველივე, რაც რევოლიუციამ მოგვცა.

წუთიერი ბედნიერების შემდეგ ჩვენ უარესი მონობის უღელი მოგველოდა.

ჩვენ თითქოს სიზმარში ვიყავით და გამოღვიძება მწარე, საშინელ სინამდვილეს გვიმზადებდა.

თითქოს ხსნა აღარსით იყო და უნდა დავლუპულიყავით, გამოვთხოვებოდით ყოველივეს, რასაც ვემსახურებოდით, რისთვისაც ვიბრძოდით, რისთვისაც მსხვერპლს არ ვერიდებოდით. მაგრამ მოხდა სასწაული და ჩვენ გადავრჩით, გადაჩრა რევოლიუციამ, გაინარჯვა წითელმა დროშამ.

ვინ მოახდინა ეს სასწაული?

გვარდიამ.

ვინ გადაარჩინა ერი და რევოლიუციამ?

გვარდიამ.

მე აღტაცებით გუნდრუკს უკმევ ჩვენმ მუშების გვარდიას და მუხლს ვიდრეკ იი გვარდიელების წინაშე, რომლებმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს დემოკრატიის მიზანს.

განახლებული საქართველოსთვის განსაკუთრებით საყვარელი და სათაყვანებელი გვარდია იქნება.

გვარდია ეროვნული გმირია, რესპუბლიკის სიამაყეა.

თავისი თავ განწირვით, თავისი ბრძოლით და სისხლით მან დაიმსახურა საერთო სიყვარული, ერის მაღლიერება და ისტორიაში კი უკვდავება.

გვარდია ჩვენი დემოკრატიის სიმწიფეა.

ისტორიამ თითქო გამოსცადა ჩვენი დემოკრატია: აბა, შენ მზათ ხარ თუ არა თავისუფლებისათვის, შეგიძლია თუ არა ლავის დაცვა და ახალი სახელმწიფოს აშენებაო.

გამოცდა მეტათ მძიმე იყო; საშინელი სინამდვილე გაღიშალა ჩვენი დემოკრატიის წინაშე და იყო ისეთი წამი, როდესაც გადარჩენის იმედი ძაფზე ეკიდა... მხოლოდ და ჩვენ იმედ დაკარგულნი ვიმეორებდით პოეტის სიტყვებს: „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაავლის ეს განწირული სულის კვეთებაო.“

მაგრამ დემოკრატამ გადალახა ყოველ გვარი საფრთხე. მან წარმოშვა გვარდია და დაამტკიცა რომ ის ღირსია თავისუფლებისა, რომ მას შეუძლია საკუთარის ძალ-ღონით ახალი სახელმწიფოს დამკვიდრება.

იღიდოს ამიერიდან უკუნისამდე ჩვენი გვარდიის სახელი!

ფოტ. სურ. ვ. გრინგეინი. ა.



შავი ზღვის პირის ფრანტზე მომქმედ სახალხო გვარდიის ტელეფონისტა რაზმი. გადაღებულია სტრის მახლობლათ.

ფოტ. სურ. ვ. გრინგეინის.



სამთლ ბატარეია სახალხო გვარდიისა გზაში შავი ზღვის პირის ფრანტზე.

დღევანდელს პირობებში ჩვენი დემოკრატიის გამარჯვებისათვის აუცილებელია ჯარი. დღეს თუ ჩვენ ჯარი გვყავს და მას ღირსეულათ ვაწყობთ—გვარდიას წყალობით.

გვარდია რომ არ ყოფილიყო—ჩვენი რესპუბლიკა არ იქნებოდა.

გააუქმეთ გვარდია დღეს, მოისპობა ჩვენი დამოუკიდებლობაც.

ჩვენი ახალი ისტორიის საუკეთესო ფურცლები, ჩვენი უწმინდესი გრძობანი და განცდანი გვარდიის სახელთან არიან შეერთებული.

ჩვენ გვიყვარს გვარდია, საქართველოს დემოკრატია ამაყობს თავისი გვარდიით.

ვაშა ჩვენს გვარდიას.

ივ. გომართელი

ს ა ლ ა მ ი .

მზურვალე სალამი ჩვენს სიამაყეს სახალხო გვარდიას. 12 დეკემბერი ყოველი გულწრფელი დემოკრატისათვის ბრწყინვალე დღესასწაულია. ბევრი ლამაზი სიტყვები დაიხარჯა და იხარჯება ამ რევოლიუციის ხანაში. ბევრი უკვე ტრიუმფით იქცა, თავიც მოგვაბეზრა, მაგრამ როცა ჩვენ სახალხო გვარდიის დღეს საერთოდ დღესასწაულად აღვიარებთ, მხოლოდ გადაგვარებულ და ბრაზმორეულ ელემენტებს თუ აღუძრავს ექვს ჩვენი სიტყვების გულწრფელობა. მართლაც, განა ვისმესთვის სადაოა, რომ თუ ჩვენმა რესპუბლიკამ დააღწია თავი ათასგვარ უბედურებას, თუ მასხედ მოღვრილმა ლახვარმა თვით მისი მტრის გული განგმირა, თუ ჩვენი თავისუფლების დროშა დღესაც თავმოშწონეთ ფრიალებს და რესპუბლიკის შინაურ და გარეშე მტრებს მოსვენებას არ აძლევს, ეს გახლავსთ ისტორიული დამსახურება ჩვენი სახალხო გვარდიისა. ეს ლამაზი სიტყვები არ არის, ეს არის რეალური ფაქტი და აბა, შეეცადოს ვინმე დაამტკიცოს წინააღმდეგი. ამას ამოწმებს საქართველოს საზღვრებზე გარეშე მტრებთან ბრძოლაში დანთხეული წმინდა სისხლი. ჩოლოქი, ბორჩალოს შაზრა, კავკავის გზა, სოხუმი, გაგრა და ბევრი სხვა. აი ის ადგილები სადაც შეუპოვარ დარაჯად უდგა საქართველოს თავისუფლებას სახალხო გვარდია, რომლის მკრელი შინაურ მტერსაც გმირავდა. ცხინვალში, დუშეთში და სხვაგან, სადაც თითო მუქა ავანტიურისტებს ჰქონია სურვილი ჩვენი ხალხი გადაესროლა ანარქიის მორევში, ყოველთვის თავას დროზე მებად მოვლენია ჩვენი გვარდია ხალხის მტრებს.

ახლა არ არის დრო ჩვენი ხალხის პოლიტიკური უნარის ისტორიის წერისა, მაგრამ ერთი რამ აშკარად უნდა იქნას ცნობილი: საქართველომ შესძლო ხალხის თავისუფლების

„შეუძლებელია ჩემი საქმე მე უკეთ დიდურათ მიპასუხა მან.

მაშინ მე სწრაფათ ვიძვრე მაუზერი, და დეკი მას გულზე და ვუბძანე:

— „შეიარე სოჩაში. ეს აუცილებელია!“. უფროსი შეშინდა, აკანკალდა.

— „სოჩაში გავლა ყოველად შეუძლებელია, ადგანაც გემი დაიღუპება. გაძლევთ პატიო- ან სიტყვას, რომ გემი დაიღუპება. თუ გსურთ ამენდანტს შეეკითხეთ“.

მე დავუძახე კამენდანტს და მანაც დამარ- უხნა, რომ სოჩაში შესვლა მეტად სახიფათოა. ჩემ წინ დიღემა დადგა: ან ტუაპსეში ასვლა და მტრის ხელში ტყვეთ ჩავარდნა, — ან სოჩაში გასვლა და შესაძლებელია გემის დაღუპვა. გემის დაღუპვას მე ისევ ჩემი ტყვე- ბა ვარჩიე...

ამასობაში კიდევაც გაათენდა. ზღვა დამ- თა. შორს გამოჩნდა მზისაგან განათებუ- ტუაფსე. გემის დაბრუნება ეხლა შესა- ძებელი იყო, მაგრამ მე უკვე ცნობის მო- ვარეობამ გამიტაცა და საშინლათ მომინდა უაფსეს ნახვა...

მალე „ტიტანია“ შევიდა ტუაპსეს ნავთ- ადგურში. უკან დასახვეი გზა უკვე აღარ იყო... გემი მიაღდა ნაპირს და ზედ ამოვიდენ დიდიცილები... ეხლა მე ვიგრძენი ჩემი შეც- დობა და ვაგინებდი ჩემ ცნობის მოყვარეობას...

გემის უფროსმა მე დამაბეზლა და პორტის დანტმა დატუსაღებულათ გამომაცხადა... მიყვანეს ქალიქის კომენდანტთან და პატი- ანი სიტყვის ქვეშ სასტუმროში ცხოვრების ვლება მომცეს...

სამი დღე დავჩი მე ტუაფსეში, ამ პო- ლიტკურათ და საზოგადოებრივათ მკედარ ქალაქში. და როდესაც ამ სამი დღის შემდეგ გადმოვაბიჯე ჩვენს საზღვარზე და ჩუხუკტში ამოვიღე — მე დავაფასე ის უდიდესი ბედნიე- ტება, რომელსაც ჩვენ კიდევ სავსებით ვერ ვაფასებთ და რომელსაც სახელათ ჰქვია-თავი- სუფლება.

თავისუფლებისათვის სიცოცხლე შეი- ...

ვალაკო ჯუღელი.

ალექსისა, თავეანწირვისა და გმირობისა! 1918 წელი. დეკემბრის 12... რამდენი ახვა, ფიქრი, განცდა და მწარე მოგონებაა არტებული ამ დღესთან!

...ამ დღეს სახალხო გვარდიამ თავისი არ- ბობის წლის თავი იღღესასწაულა. ის დიდებული დღე იყო! ეს დღესასწაუ- რ იყო, — ეს იყო მოწოდება ერისა- დლობის დასაცავათ...

ბნეული მებობლები თავს გვესხმოდა: დავერდსა და სანაინს შორის რკი-

ნის გზის ლიანდაგი აჰყარეს, ჩვენი სანაინის რაზმი მოკრილი იყო და გზას ბრძოლით იკაფავდა, ამ დღეს ალავერდის მადლობებზე იშვიათი სროლა ისმოდა...

ასეთ მიძიმე წუთებში, თავდამსხმელთაგან სამშობლოს დასაცავათ სახალხო გვარდიამ ქარ- ქაშიდან ხმალი იშისვლა...

მე გვრძობდი მომენტის სიძნელეს და უდიდეს პასუხის მგებლობას ერის წინაშე; ამას გრძობდა ჯარიც... და აი მან ამ დღეს სა- ხალხო გვარდიას უძღვნა სამხედრო საყვირი, და მით ერთმანეთს ფიცი დაუდეს: „ამ საყ- ვირის ხმაზე ერთად შევრბენ, ერთად სიკ- ვილისა, ან ერთად გამარჯვებისათვის“.

და ეს აღთქმა მეორე დღესვე განხორცი- ელდა: გვარდია ჯარის დასახმარებლათ გაეშუ- რა, და შეერთებულმა ძალამ მტრის თავზე- დობას ერთის დაკვრით ბოლო მოუღო...

წლიდან-წლობით დღევანდელ დღეს გვარ- დია და ჯარი ამ აღთქმას გაიმეორებს...

დღესაც ისინი ერთმანეთს შეჰფიცებენ: „ერთად სიკვიდლს, ან ერთად გამარჯვებას!“

და ეს დღე, — დღე აღთქმისა, შეფიცვისა, დღე თავგანწირვისა და გმირობისა — დიდებუ- ლი დღეა!

დღე ეს შექმნა დემოკრატიის წილიდან წარმოშობილმა გვარდიამ, და მადლიერი ერი მას დღეს „ვაშა“-ს ყოყინით ეგებება.

გრ. ბიორგაძე.

სახალხო გვარდიის დღე

(ღრბ წლის თავი).

დღეს ორი წელი შესრულდა რაც ჩვენს რესპუბლიკაში სას. გვარდია არსებობს. ისტო- რიამ გვარდიას დიდი როლი — სამშობლოს და რესპუბლიკის ღირსების დაცვა არგუნა. ის ამ მოვალეობას მუდამ პირნათლად ასრულებდა.

ჩვენი რესპუბლიკა ხშირად გვინახავს საფრ- თხეში მრავალ მოსისხლე მტრებისაგან ვარ- შემორტყმული. გვარდია მათთან ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოსულა. ძველის ნან- გრევეზე საჭირო იყო ახლის შენება, მაგრამ დიდმა რუსეთმა აღმშენებლობითი უნარი ჯერ ვერ გამოიჩინა. იქ ჯერაც ანარქია, ტანჯვა, ვაება, შიმშილი და სიკვდილია გამეფებული.

ანარქიის მოტრფილანებმა ჩვენშიაც ბევრჯერ სცადეს სამოქალაქო ომის გაჩაღება, მაგრამ ამაოდ: ჩვენმა რევოლიციურ დემოკრატიის პირმშო შვილმა, სახ. გვარდიამ, მოლაღატენი სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

საქართველოს რესპუბლიკა სამეურნეო ქვეყანაა. მოიპოვება აუარებელი სიმდიდრე. საჭიროა მხოლოდ მისი დამუშავება. ჩვენი ხალხის დიდი ნაწილი შრომას გაუბრის, უცხო- ეთს შეჰყურებს. საჭიროა სავალდებულო შრო- მა იქნეს შემოდებული, რომ არც ერთი უსა- ქმო ქალი და კაცი, ჩვენში არ მოიპოვებო-

დეს. მხოლოდ საყოველთაო და ნაყოფიერ შრომას შეუძლია ჩვენი ხსნა. ამას ჩვენმა მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს. სა- ხალხო გვარდია თავისი შრომით იძლევა ამის მაგალითს.

ჩვენი ჯავშნიანი მატარებლებიც, როგორც ერთი დარგი სახალხო გვარდიისა, მუდამ ებრ- ძოდა მოზღვავებულ მტერს და ბრძოლის ალამი არასოდეს ძარს არ დაუშვია. და მომავლისთვისაც, სრულიად ჯან-სალი, ბრძოლის ქარ ცეცხლში ნაწრთობი მზათ არის რესპუ- ბლიკის ინტერესებისთვის თავის დასადებათ. მაშ წინ ამხანაგებო მედგრად და შეუპოვრად! საერთო ხალისით განვაგრძოთ ჩვენი დაწყე- ბული გზა, არ უღალატოთ ჩვენს მიზანს, მშრო- მელი ხალხის საკეთილ-დღეობთ ბრძოლასა და მუშაობას.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას თავისუფლე- ბისათვის!

გაუმარჯოს ჩვენს დემოკრატიულ რესპუ- ბლიკას!

გაუმარჯოს ხალხის ნდობით აღჭურვილს ჩვენს მთავრობას!

გაუმარჯოს რესპუბლიკის ღირსეულ დამ- ცველ ჩვენ ჯარსა და სახალხო გვარდიას!

ვალოდია გოგვაძე.

სახალხო გვარდია


ზოგჯერ, როდესაც ჩვენი ცხოვრების შე- დარებით ნორმალურ ფორმებში მიმდინარე-ობას ერთი წუთით ვივიწყებ და ჩემს ფიქრებს ნებას ვაძლევ მოვიგონონ ჩვენი ქვეყნის ახლო, სულ წელიწადნახევრის, მაგრამ შინაარსით მრავალ ფეროვან, დიად ამბებით აღსავსე, სა- ბედისწერო შემთხვევებით დატვირთული წარ- სული, მაშინ მიპყრობს ერთი საშინელი, ყრუ- ანტელის მომგვრელი საკითხი.

რა იქნებოდა დღეს, რა ხასიათს მიიღებდა ჩვენი ცხოვრება, რას ემსგავსებოდა ჩვენი პა- ტარა სამშობლო, რა ბედი მოელოდა ჩვენს დემოკრატიას, რომ საქართველოს მუშათა კლასსა და მოწინავე გლეხობას არ შეექმნა ჩვენი სახელოვანი, აწ საისტორიოთ ქცეული, გვარდია?

არა მგონია იყოს ჩვენი რესპუბლიკის ტე- რიტორიაზე ისეთი, ვინც განიცადა ტრაგე- დიით სავსე ჩვენი ახლო წარსული, რომ ასე- თი საშინელი საკითხი არ დაებადოს. ჩემის აზრით, ამით აიხსნება ჩვენში საერთო მოკრძალება გვარდიისადმი, უდავო ავტორი- ტეტი უკანასკნელისა ხალხში.

ამას განიცდიან ჩვენი მტრებიც. აქ არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი სურათი, რომელიც საინტერესო მაჩვენებელია ხალხში ჩვენი გვარდიის სახეობის, გავლენისა.

გურიის ერთ ერთ რაიონის დიდი მიტინ- გია. მოწვეულია ბალშევიკები საკანათოდ. მი-



120 [23] H. 70 23/22 [3]

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა



ყარაიაზის სახელმწიფო მამულში. გვარდიელები სთესვენ მთესველებს უკან მიწყვებიან სათესლეებით.

ფოტ. სურ. ვ. გრინევიჩისა



ყარაიაზის სახელმწიფო მამულში. გვარდიელები ფარცხავენ ახალნათეს მინდვრებს.

ტინგს ერთობ მდელვარება ეტყობა, ის ბოქრობს, რადგან უნდა შეეცადოს ერთი ორეს სახელმწიფოებრივად განწყობილი რულები და მიტინგის ჩასაშალათ ყურად ყოველ მხრიდან მოსული „ბალშევიკური“ ახალგაზრდები. ეს უკანასკნელები წინასწარ მომზადებულ-დარაზმულნი არიან, მათ მუშტებს, რებლიკებსა და ყვირილს დასასრული არა აქვს, ჩვენი ორატორები ამ ყვირილში დიდი სიძნელით ლაპარაკობენ, აღელვებულნი არიან.

ორატორმა დაასრულა ლაპარაკი ბალშევიკების ხმაურობაში. ამ დროს თავმჯდომარე აცხადებს: „სიტყვა ეკუთვნის სახალხო გვარდიის წარმომადგენელს ვლ. ჯიბლაძეს“.

ბალშევიკთა განგაში სწყდება, სრული სიჩუმე მყარდება, ტრიბუნაზე აღის ვლ. ჯიბლაძე, გაისმის საერთო ტაში. ჯიბლაძე ლაპარაკობს ხმა დაბლა, დამშვიდებით, რადგან იცის, რომ ის გვარდიის სახელით ლაპარაკობს, მას მთელი მიტინგი უსმენს, როგორც ერთი კაცი, რებლიკას ვერაფერს ბედავს, თუცა ორატორი მიწასთან ასწორებს ბალშევიკებს. ის ათავებს ლაპარაკს, მის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს საერთო ტაშის გრიალი.

აქ გვარდია, ჩვენი სახელოვანი გვარდია ლაპარაკობს, მან დააცხრო აღელვებული ზღვა მიტინგისა.

მე მაშინ მთელი სიძლიერით ვიგრძენ გვარდიის ავტორიტეტი ხალხში.

აღ. ჟორჟოლიანი.

გვარდია ზოსტან ქალაქში (ყარაიაზში)

დიდებული რამ სანახავია, როცა სახალხო გვარდია თოფით ხელში ლომივით იბრძვის გარეშე ფრონტზე, იცავს ხალხის წმიდა-წმიდათას—თავისუფლებას და ნამუსს, სამშობლოსა და რევოლიუციის ზვარაკათ ეწირება, საღმრთო ვალს იხდის, სისხლს ღვრის...

მაგრამ არა ნაკლებ დიდებულია, როცა ამავე გვარდიას არ აფიწყდება არც შინაური ფრონტი შიმშილი და სახნის საკვეთლით დედა მიწას ებრძვის, ოფლით აპოხიერებს.

ვაშა, გარეშე ფრონტზე მებრძოლთ, რაქა შინაურ ფრონტზე მომუშავეთ.

აპ. წულაძე

„ე ზ მ ა კ ი ს მ ა თ რ ა ხ ი ს“

შემდეგი, მეოთხე, ნომერი გამოვა კვირას დეკემბრის 14-ს.